



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
ბრძანება № MOH 8 23 00000102

ქ. თბილისი

14/03/2023 წელი



**ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მოსარგებლეთა გზამკვლევისა და მისი  
საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე**

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N609 დადგენილების მე-9 მუხლისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების შესახებ ბენეფიციართა ცნობიერების ამაღლების მიზნით, „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მოსარგებლეთა გზამკვლევი“ (შემდგომში - გზამკვლევი) თანდართული დანართების შესაბამისად:

- ა) „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“ (დანართი N1);
- ბ) „იმუნიზაცია“ (დანართი N2);
- გ) „ტუბერკულოზის მართვა“ (დანართი N3);
- დ) „აივ-ინფექციის/შიდსის მართვა“ (დანართი N4);
- ე) „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ (დანართი N5);
- ვ) „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა“ (დანართი N6);
- ზ) „ჯანმრთელობის ხელშეწყობა“ (დანართი N7);
- თ) „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ (დანართი N8);
- ი) „დიაბეტის მართვა“ (დანართი N9);
- კ) „ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება“ (დანართი N10);
- ლ) „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ (დანართი N11);
- მ) „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“ (დანართი N12);
- ნ) „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას

დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა“ (დანართი N13);

ო), „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა“ (დანართი N14);

პ), „რეფერალური მომსახურება“ (დანართი N15);

ჟ), „თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება“ (დანართი N16);

რ), „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვა“ (დანართი N17);

ს), „ორგანოთა ტრანსპლანტაცია“ (დანართი N18).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული გზამკვლევის საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოს:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ადმინისტრაციას და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართების და საჭიროების შემთხვევაში დანართების განახლებული ვერსიის პროაქტიულად გამოქვეყნება სამინისტროს ელექტრონულ რესურსზე - [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge), „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 28 დეკემბრის № 01-504/ო ბრძანების შესაბამისად;

ბ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში საჭიროებისამებრ განხორციელოს გზამკვლევის შესაბამისი დანართების განახლება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი  
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/  
შტამპდანიშნულია  
ელექტრონულად

